



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება №157/13

1. საქმის ფაბულა

ლ.ლ-მ ადვოკატ ნ.ა-ს გაუფორმა მინდობილობა 2013 წლის 01 აპრილს. ადვოკატმა ნ.ა-მ ხელი მოაწერა განცხადებას სარჩელის გამოხმობის თაობაზე მისი მარწმუნებლის ლ.ლ-ს ნაცვლად და ლ.ლ-ს სახელის მითითებით.

2. პროცესუალური ისტორია

2013 წლის 16 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ.ს.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ.ა.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. დისციპლინალური დევნის აღმძვრელმა კომისიამ 2014 წლის 6 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ.ა.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატის ქცევა შესაძლოა შეფასდეს, როგორც კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ადვოკატის მიერ კანონით აკრძალული საშუალებების გამოყენება საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას. შესაბამისად, ადგილი ექნება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.

3. სამართლებრივი ანალიზი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები სახეზეა, ადვოკატ ნ. ა.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა. დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განისაზღვრა ადვოკატისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

ადვოკატ ნ.ა-მ დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი - ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი ნ. ა. მისი კლიენტის ნაცვლად სარჩელის გამოხმობის შესახებ განცხადებაზე ხელმოწერასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „სადავო ამ ხელმოწერის ნამდვილობა მხოლოდ ლ. ლ.-მ შეიძლება გახადოს, რომელიც არამეტუ სადაოდ ხდის მას, არამედ იწონებს და რაიმე პრეტენზია არ გააჩნია. მე მქონდა ლ. ლ.-სგან მინდობილობა საქმის წარმოებაზე, თუმცა, მიუხედავად ამისა, ნებისმიერ საპროცესო მოქმედებას ვახორციელებდი მასთან წინასწარი შეთანხმებით და მისი ნებართვით. მათ შორის სარჩელის გამოხმობაც მოხდა მისი თანხმობით და კანონის სრული დაცვით... თუმცა, აქ მთავარია ის გარემოება, რომ ლ.-ს არანაირი უფლება არ გააჩნია იდაოს იმაზე, რომ მე სხვის მაგიერ მოვაწერე ხელი.“ ეთიკის კომისია აღნიშნულ შემთხვევაში, ვერ გაიზიარებს ადვოკატ ნ.ა.-ის მოცემულ არგუმენტაციას, ვინაიდან კლიენტის ინტერესების დაცვა მიზნად არ უნდა ისახავდეს კანონსაწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ ლ. ლ.-ის, როგორც კლიენტის მიერ მოწონებული იქნა ადვოკატის მიერ განხორციელებული მოცემული ქმედება, ადვოკატს აღნიშნული არ აძლევს უფლებას კლიენტისათვის სასურველი შედეგს არაკანონიერი საშუალების გამოყენების გზით მიაღწიოს, კერძოდ, საკუთარი კლიენტის ნაცვლად, კლიენტის სახელის მითითებით მოაწეროს ხელი განცხადებას სარჩელის გამოხმობის თაობაზე.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. ა.-ის მიერ დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, ადვოკატმა გაუფრთხილებლობით დაარღვია გონივრული წინდახედულობის ფარგლები კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას და სარჩელის გამოხმობის თაობაზე განცხადებას თავად, სხვა პირის სახელისა და გვარის მითითებით, კერძოდ, მისი მარწმუნებლის ლ. ლ.-ის ნაცვლად მოაწერა ხელი.